KA021701007932818

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/39164

11 / ივლისი / 2018 წ.

სს „თელასი“ (ს/კ 202052580)
მის: თბილისი, ვანის ქ. 3

თქვენი 2018 წლის 10 ივლისის წერილის (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი 72760/ფ) პასუხად სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“) გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ თქვენთვის პირობადებულ საკუთრებაში გადმოცემული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა № 10 (ს/კ 01.13.02.006.002) გაცვლა შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის“ (ს/კ 404905821) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში, მდებარე ქ. თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა № 5; ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა № 4, ჩაჩავას ქუჩა № 1, ლუბლიანას ქუჩა № 5 (ს/კ 01.13.02.006.046.01.500) იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე „სააგენტო“) და სს „თელასს“ შორის 2012 წლის 12 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 4.7 მუხლის თანახმად, შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“ სს „თელასთან“ ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს ამავე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოხსენებული ტრანზაქცია (გაცვლა) ჩაითვლება სააგენტოს თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად, რისთვისაც ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასურის გადახდას, აღნიშნული დადასტურებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 13 ივლისის №13/15384 წერილით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია

010004359917

020181202091212

KA020181202091212

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 99 11 05; 99 11 11
Fax.: (+995 32) 921534

№ 13/15384

13 / ივლისი / 2012 წ.

სს "თელასს" (ს/კ 20205280)
მისამართი: ქ. თბილისი, ვანის ქ. №3

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს "თელასს" შორის 2012 წლის 12 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების (ნასყიდობის საგანია: ხაზობრივი ნაგებობი, რომლის ჩამონათვალი თან ერთვის წარმოდგენილ წერილსა და ხელშეკრულებას №1და №2 დანართის სახით) მე-3 მუხლის 3.2 პუნქტის საფუძველზე გიდასტურებთ საპრივატიზებო საფასურის 1 000 (ერთი ათასი) ლარის გადახდას.

პატივისცემით,

სახელშეკრულებო ვალდებულებათა
მონიტორინგის დეპარტამენტი, დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დიმიტრი შანიძე

ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

12 ივნისი, 2012 წელი

ერთი მხრივ, **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,** (შემდგომში „**გამყიდველი**"), წარმოდგენილი პრივატიზების დეპარტამენტის, პრივატიზების ორგანიზების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის **იზოლდა მარსაგიშვილის** (პირადი №44001000687) მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 3 იანვრის №06/40 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **სს „თელასი"** (საიდენტიფიკაციო კოდი №202052580) (შემდგომში „**მყიდველი**") წარმოდგენილი **მამუკა ქობალიას** (პირადი №01005011055) მიერ, თელასის გენერალური დირექტორის აშოტ მანუკიანის 2012 წლის 30 მარტის №120335238 რწმუნებულებით/მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქციო საზოგადოება „თელასისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 28 მარტის №28/03/03 განკარგულების საფუძველზე, წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას (შემდგომში „**ხელშეკრულება**") ვაფორმებთ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად, „გამყიდველი" გადასცემს, ხოლო „მყიდველი" იღებს საკუთრებაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, წინამდებარე ხელშეკრულების №1 და №2 დანართებში მითითებულ უძრავ ქონებას (შემდგომში "ქონება") პირდაპირი მიყიდვის ფორმით.

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური და მისი გადახდის წესი

2.1 „მყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს საპრივატიზებო საფასური, რომელიც ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შედგება მხოლოდ საპრივატიზებო შემოსულობისაგან 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ამავე ვადაში წარუდგინოს „გამყიდველს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.2 საპრივატიზებო საფასურის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის „გამყიდველის" მიერ მითითებულ შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში
ხაზინის ერთიანი ანგარიშის სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული) №200122900
მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: №220101222
სახაზინო კოდი: №302003307

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 „მყიდველი" ვალდებულია:

3.1.1 გადაიხადოს „ქონების" საპრივატიზებო საფასური და წარმოუდგინოს „გამყიდველს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით დადგენილი პირობების შესაბამისად;

საქართველოს განვითარების და ეკონომიკის სამინისტრო

3.1.2 მუდმივად უზრუნველყოს აბონენტები შეუფერხებელი და სტაბილური ელექტრომომარაგებით;

3.1.3 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურების მიზნით, „გამყიდველის“ მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, წარუდგინოს „გამყიდველს“ ინფორმაცია მათი შესრულების შესახებ;

3.1.4 დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება;

3.1.5 დაფაროს საჯარო რეესტრში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და „ქონების“ რეგისტრაციის ხარჯი. დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული სანოტარო ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3.2 „გამყიდველი“ ვალდებულია „მყიდველის“ მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გასცეს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების წერილობითი დადასტურება, რომელიც შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ვალდებულების გაუქმების ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

3.3 მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, სრულად და დროულად შესრულება.

მუხლი 4. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

4.1 „მყიდველს“ საკუთრების უფლება გადაეცემა ხელშეკრულების ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, „მყიდველი“ ვალდებულია საჯარო რეესტრში დაარეგისტრიროს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება.

4.2 „მყიდველს“ „ქონება“ გადაეცემა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან.

4.3 ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის“ მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

4.4 თუ „მყიდველი“ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს საპრივატიზებო საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, „მყიდველისათვის“ საპრივატიზებო საფასურის გადახდისათვის მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, „გამყიდველის“ წერილობითი მიმართვის საფუძველზე საჯარო რეესტრში უქმდება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი „მყიდველის“ საკუთრების უფლება და „ქონება“ რეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებად.

4.5 „გამყიდველის“ თანხმობის გარეშე „მყიდველს“ „ქონების“ საპრივატიზებო საფასურის გადახდამდე არ აქვს უფლება გადაცემული „ქონება“ გაასხვისოს, განკარგოს ან სხვაგვარად დატვირთოს.

4.6 საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდიდან, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო სამინისტროსა და მას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სამინისტროს.

4.7 „ქონების“ ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში ახალი მესაკუთრე „მყიდველთან“ ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1 წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის

შემთხვევაში, სახელმწიფო ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა.

5.2 პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

5.2.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, „გამყიდველი“ „მყიდველს“ გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.2.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის “გამყიდველი” “მყიდველს” გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2.3 ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში „გამყიდველი“ „მყიდველს“ გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.3 დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4 წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა „გამყიდველის“ მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად. ასეთ შემთხვევაში პრივატიზებული ქონება უბრუნდება პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს. სახელმწიფო ქონების შემძენს არ უნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც ცდება „გამყიდველის“ ან „მყიდველის“ კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით, (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, ავჯანყებით, მიწისძვრებით, ზავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ მხარის კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ მხარეს არ შეეძლო.

6.2 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების და მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 72 საათისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში, მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული

გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.4 ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწვეს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.5 ფორს-მაჟორული გარემოებების 1 თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან განიხილონ ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

მუხლი 7. შეტყობინებები

7.1 ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად, ფაქსის, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტის მიზნებისათვის მხარეთა რეკვიზიტებია:

7.2.1 **გამყიდველის შემთხვევაში:**

მიმღები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მისამართი: ჭანტურიას ქ. №12, თბილისი, საქართველო;

ტელ: 995 32 2 991105; 2 991111

ფაქსი: 995 32 2 921534

7.2.2 **მყიდველის შემთხვევაში:**

მიმღები: სს „თელასი“

მისამართი: ქ. თბილისი, ვანის ქ., №3

ტელ: 995 32 277 98 12; 995 32 227 45 81

ფაქსი: 995 32 277 99 81

7.3 „მყიდველი“ ვალდებულია შეატყობინოს „გამყიდველს“ მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში „გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის წერილობითი გაფრთხილება ჩაითვლება ჩაბარებულად;

მუხლი 8. მარეგულირებელი კანონმდებლობა, დავების გადაწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში საკითხი წყდება მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 9. სხვა დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც გაფორმდება როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

9.2 ხელშეკრულების ყველა ცვლილება/დამატება ან/და დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.3 საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.4 ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან/და ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სხვა პუნქტების გაუქმებას ან/და ბათილობას.

9.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

9.6 სათაურები წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ

იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

9.7 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 5 (ხუთი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს და საჯარო რეესტრს.

9.8 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

გამყიდველი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
წარმომადგენელი

იზოლდა მარსაგიშვილი

მყიდველი
სს „თელასი“
წარმომადგენელი

მამუკა ქობალია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
[illegible] №172
თარიღი "12" ივნისი 2012 წ.
გვ.რაოდენობა: 14 (თოთხმეტი)

დანართი №1

სააქციო საზოგადოება „თელასისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასაცემი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

ხაზობრივი ნაგებობების ჩამონათვალი

№	ობიექტის ტიპი	ობიექტის აღწერა	ობიექტის სიგრძე (მ)	დაფარვის ზონა	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N
1	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ N4035 (ყოფ.1205)-დან ს/ქN4034.2-მდე	107	საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის სამინისტრო/ ალექსანდროვის ბაღი	01.00.859
2	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 საკაბელო ხაზი ს/ ქ N2917(ყოფ.ა1917)-დან ა378-მდე	213	დავით აღმაშენებლის გამზირი N40, კულტურის ინსტიტუტი/ეუზანძის ქუჩა N37	01.00.860
3	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქN7037(ა1398) ორთაჭალაქსი ფ.5	610	დიდი ხიდურის ქუჩა N16, პეტროდეტექტების სამმართველოსმშენებლის მარჯვენა სანაპირო	01.00.868
4	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ ა1486-დან ს/ქN4253.2-მდე	113	გ. ლეონიძის ქუჩა N11 / გ. ლეონიძის ქუჩა N17-ს მიმდებარედ	01.00.870
5	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ ა1486-დან ს/ქN4145-მდე	35	გ. ლეონიძის ქუჩა N11 / გ.ლეონიძის ქუჩა N11/2-ის მიმდებარედ	01.00.871
6	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N1045 (ყოფ ა1045)-დან ს/ქN1015-მდე	240	გურამიშვილის გამზირი N15 / გურამიშვილის გამზირი N9-ის მიმდებარედ	01.00.872
7	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ 8815(ა1244)დან ქს ა12670დე	132	ახვლედიანის ქუჩა N6 / მუხაძის ქუჩა	01.00.873
8	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N 8788დან ს/ქ 8688მდე	247	ჭირნახულის ქუჩა N 2, ნაკვ 04/114, სს თბილისგაზობილდერი / ლილო, ჭირნახულის ქუჩა N 4-ის მიმდებარედ	01.00.874
9	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ N3958 (ყოფ. ა1058)-დან ა858-მდე	408	ბუხის ქუჩა N10 (ნაკვ.08/128) სკი „თბილკი“/ ბუხის ქუჩა N5	01.00.875
10	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N2059 (ყოფ. ა905)- დან ს/ქ N2057- მდე	469	ლეგბლიანას ქუჩა N15 (ნაკვეთის N05/008) ზარიფხანა / ლეგბლიანას ქუჩა N10	01.00.876
11	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ N8812 (ყოფ. ა1163)- დან ა1608-მდე	64	ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო, კორპუსი N40 / მშენებლის ქუჩა N3	01.00.877
12	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N5174 (ყოფ. ა2268)-დან ვარკეთილი ფ.18	1285	ვაჩნაძეები, ა/ს 78 / ვარკეთილის მასივი	01.00.878
13	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ/დ საკაბელო ხაზი ს/ ქ N3635 (ყოფ. ა1635)-დან ნუცუბიძე ფ21-მდე	517	ნუცუბიძის პლატო IV მიკრო/რაიონი, ნაკვ. 08/007 / ნუცუბიძის პლატო	01.00.879

14	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N1045 (ყოფ ა1045)-დან ს/ქN1876-მდე	475	გურაბანაშვილის გამხირი N15 / გურაბანაშვილის გამხირი N8	01.00.880
15	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N0888 (ყოფ. ა888) -დან ს/ქN0109 მდე	28	თამარაშვილის ქუჩა N15ა, საქმიწაროექტი / ანტონოვსკაიას ქუჩა N9ბ-ს მიმდებარედ	01.00.881
16	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქN5150-დან ს/ქN 5020-მდე	733	შანიორ პეტეფის ქუჩის მიმდებარედ / ვაზისუბნის დასახლება. N6 კორპუსის მიმდებარედ	01.00.882
17	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N7036 (ყოფ. ა1496)-დან ორთაჭალაქსი ფ.13-მდე	966	დიდი ხევრნის ქუჩა N10, შპს „ზურგის სამშაროველო"/ მ.ტკერის მარტენე სანაპირო	01.00.883
18	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N1942 (ყოფ. ა1115)- დან ს/ქ N1940 (ყოფ. ტ03) -მდე	711	ჩარგლის ქუჩა N63-ის მიმდებარედ / გულუამხურის შესახვევი N4	01.00.884
19	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N8812 (ყოფ. ა1163)- დან ა1280)-მდე	502	ვარკეთილის მასივი, ზემო პლატო კორპუსი N40/ არხები	01.00.885
20	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N2789 (ა1789)-დან ს/ქN6000-მდე	62	უზნაძის ქუჩა N49 ნაკვ. 13/031. კარდიოლოგიური საავადმყოფო/ უზნაძის ქუჩა N56-ის მიმდებარედ	01.00.886
21	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ ა1486-დან ს/ქN4253.1-მდე	113	ზ. ღოღობიძის ქუჩა N11 / ზ. ღოღობიძის ქუჩა N17-ის მიმდებარედ	01.00.887
22	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N3412 (ყოფ. ა1379)-დან ს/ქN3410(ყოფ. ა1410)-მდე	560	ქავთარაძის ქუჩის N16,სამკურნალო კომპლექსი/ ქავთარაძის ქუჩა N21,ხისხლის პრესპარატების რესპუბლიკური ცენტრი	01.00.888
23	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ 5150.1დან ს/ქ 5080მდე	596	შანიორ პეტეფის ქუჩის მიმდებარედ/ ვაზისუბნის IV მიკრორაიონი, I კვ. კორპუსი N13-ის მიმდებარედ	01.00.889
24	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ა1474 - დან ა445 - მდე	292	ქერჩის ქუჩა N 22/გლდანი, შპს აკადემია	01.00.890
25	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ N8791(ყოფ. ა1500)-დან ა1404-მდე	599	ლილოს დასახლება, ნაკვეთი 02.001. შპს „ხაჭარიველის მშაქვარი"/ლილოს დასახლება	01.00.891
26	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N7042 (ყოფ. ა1573)- დან XX21.2-მდე	70	გორგასლის ქუჩა N24, რესპუბლიკის პრეზიდენტური	01.00.892
27	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N2068 (ა1584) -დან ს/ქN2069 (ა1585)-მდე	283	ლებანიძის ქუჩა N18/20 ლედეშაურის სახელობის ორთოპედიის და ტრავმატოლოგიის ცენტრი	01.00.893
28	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქN7037(ყოფ.ა1398)-დან ს/ქN7003-მდე	186	დიდი ხევრნის ქუჩა N16, პეტროდეტექტების საწარმოველოდიდი ხევრნის ქუჩა N3-ის მიმდებარედ	01.00.894
29	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ/ საკაბელო ხაზი ს/ ქ N8678-დან ს/ქ8675-მდე	191	ქირქწარაულის შესახვევი N7ა/ მოსკოვის პროსპექტი, ქირქწარაულის II შესახვევი, კორპუსი N46-ის მიმდებარედ	01.00.895
30	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N1941 (ყოფ. ა1066)-დან ს/ქN1943-მდე	653	გულდანის შესახვევი კარდიოლოგიის ინსტიტუტი/ გურამიშვილის გამხირი, ელიავალაშვილი	01.00.896
31	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N7036 (ყოფ. ა1496)-დან XX21-მდე	61	დიდი ხევრნის ქუჩა N10, შპს „ზურგის სამშაროველო"/ გორგასლის ქუჩა N24 რესპუბლიკის პროკურატურა	01.00.897
32	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N9343 - დან GE- მდე	666	ლებანის ქუჩა N20-ის მიმდებარედ/ ცენტრალების ქირხნის ტერიტორია	01.00.898
33	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ N8643 (ყოფ. 5771-ა 770)-დან ლილო Ia,ბ-მდე	905	ჭირნახულის ქუჩა, ნაკვ.04 / 115. სააქციო საზოგადოება „ქიმპრომპირი"/ლილოს დასახლება.	01.00.899

34	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N7042 (ა1573)- დან 7044- მდე	757	გორგასლის ქუჩა N24, რესპუბლიკის პროკურატურა / გორგასლის ქუჩა N4ა-ს მიმდებარედ	01.00.900
35	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N8887 (ყოფ. ა457)-დან ს/ქ N8333 დმე	1231	ჯაიროს ქუჩა N6 ნაკვ.03/079 შპს ,,საქრკინიგზის რკინიგზატონის ქარხანა" /	01.00.901
36	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქN4035(ყოფ.ა1205)-დან ა1349-მდე	299	ჭანტურიას ქუჩა N12 / ძნელაძის ქუჩა	01.00.902
37	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N8079 (ყოფ. ა158)-დან ს/ქN8758-მდე	141	ჯაიროს ქუჩა N15 შპს ,,გეოინჟინერინგი" / მოსკოვის გამზირი N20 კორპუსის მიმდებარედ	01.00.903
38	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ 5150.2დან 50808დე	692	შანდორ პეტეფის ქუჩის მიმდებარედ / ვაზისუბნის IV მიკრორაიონი I კვ, მე-13 კორპუსი, მიმდებარედ	01.00.904
39	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქN4035(ყოფ.ა1205)-დან 4254-მდე	64	ჭანტურიას ქუჩა N12 / ვირშალაძის ქუჩა N2	01.00.905
40	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N8823 (ყოფ. ა1302-ა-1367- დან ლოლო I ფ 3-მდე	1054	ჭირნახულის ქუჩა ნაკვ. 04/115, შპს ,,თბილტურისტპოლიმერი" / ღიღილის დასახლება	01.00.906
41	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N2062-დან ა-596-მდე	71	ჩაჩავას ქუჩა N3 / ჰიაურელის ქუჩა N4 - ციცინო ქირურგიის ინსტიტუტი	01.00.907
42	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N1941 (ყოფ. ა1066)-დან ს/ქN1029-მდე	271	გუდამაყრის შესახვევი, კარდიოლოგიის ინსტიტუტის/ გუდამაყრის ქუჩა N2ა, ნევროლოგიის ინსტიტუტი	01.00.908
43	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N8349 (ყოფ. 5397-ა1201)- დან ს/ქ N8336 - მდე	134	მოსკოვის გამზირი N5, საავადმყო ქარხანა, სახანძრო კომუნალური კომპლექსი /მოსკოვის გამზირი V კვ. N11 კორპუსის მიმდებარედ	01.00.909
44	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ 5150.2-დან ს/ქN5020-მდე	734	შანდორ პეტეფის ქუჩის მიმდებარედ/ ვაზისუბნის დასახლება N6 კორპუსის მიმდებარედ	01.00.910
45	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ ა-1486 - დან SO ფ-19- მდე	660	გ. ლეონიძის ქუჩა N11 / ლ. ასათიანის ქუჩა N36	01.00.911
46	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N2017 (ყოფ. ა1400)- დან ს/ქ N 2068 (ყოფ.ა1584)- მდე	1218	ლუბლიანას ქუჩა N21, ფეანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა / ლუბლიანას ქუჩა N18/20, ღვიძლმტვრის სანდლიანის ოფთალმოდითა და ტრავმატოლოგიის ცენტრი	01.00.912
47	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ N3411(ყოფ. ა1427)-დან ს/ქN3410 (ყოფ. ა1410)-მდე	335	ურბნისის ქუჩა N3-ის მიმდებარედ საქ. ურბანწარმატება და მშენებლობის სამ. ,,საქალაქთმშენებლობპროექტი" / ქავთარაძის ქუჩა N21 ხიხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრი	01.00.913
48	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N7042 (ყოფ. ა1573)- დან XX21.1 მდე	70	გორგასლის ქუჩა N24, რესპუბლიკის პროკურატურა	01.00.914
49	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ ქ N5289 (ყოფ. ა121)-დან ს/ქN5042 მდე	299	საქმოს შესახვევი N2-ს მიმდებარედ/ საქმოს ქუჩა N4-ის მიმდებარედ	01.00.929
50	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ N8705(ა370)-დან №1042-მდე	286	ქN31-33-კახეთის გზატკეცილი (ორმხრივი) ,,ინაკი წულუკიძეს" ავტომატრახსაპირეტო საწარმო	01.00.930
51	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ ქ N9063 (ყოფ. ა1223)-დან N-448-მდე	175	ქერჩის ქუჩა N5, N138 პროფტექნიკუმი/გლდანი N80 პროფტექნიკუმი	01.00.931

52	ელექტროგადამცემი ხაზი	6კვ. საჰაერო ხაზი SB 3 ფ.6-დან ა960-მდე, (ანძაN1-დან ანძა N11-მდე)	1258	ვეძისის დასახლება/ლისის ტბის მიმდებარედ	01.00.837
53	ელექტროგადამცემი ხაზი	6კვ. საკაბელო ხაზი SB 3ფ. 6-დან ა960-მდე, (SB3 ფ6-დან ანძა 1-მდე)	161	ვეძისის დასახლება/ლისის ტბის მიმდებარედ	01.00.835
54	ელექტროგადამცემი ხაზი	6კვ. საკაბელო ხაზი SB 3 ფ25-დან ა960-მდე, (ანძა N11-დან ა960-მდე)	146	ვეძისის დასახლება/ლისის ტბის მიმდებარედ	01.00.833
55	ელექტროგადამცემი ხაზი	6კვ. საჰაერო ხაზი SB 3 ფ 25-დან ა960-მდე, (ანძა N1-დან ანძა N11-მდე)	1262	ვეძისის დასახლება/ლისის ტბის მიმდებარედ	01.00.830
56	ელექტროგადამცემი ხაზი	6კვ. საკაბელო ხაზი SB 3 ფ 25-დან ა960-მდე, (SB3 ფ25-დან ანძა N1-მდე)	169	ვეძისის დასახლება/ლისის ტბის მიმდებარედ	01.00.832
57	ელექტროგადამცემი ხაზი	6კვ. საკაბელო ხაზი SB 3ფ., 6-დან ა960-მდე, (ანძა 11-დან ა960-მდე)	154	ვეძისის დასახლება/ლისის ტბის მიმდებარედ	01.00.834
58	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N0540-დან SN ფ26	997	გელოვანის ქუჩა N2/გოთუას ქუჩა N22	01.00.838
59	ელექტროგადამცემი ხაზი	10 კვ. საჰაერო ხაზი ს/ქ N9139- დან - ა1607 -მდე (ანძა N1-დან ა1607-მდე)	2107	გლდანის მასივი V მიკრო/რაიონი N191 სკოლის მიმდებარედ/მუხიანი IV ბ მიკრო/რაიონი	01.00.826
60	ელექტროგადამცემი ხაზი	10 კვ. საკაბელო ხაზი ს/ქ N9139-დან ა1607 (ს/ქ N9139- დან ანძა N1-მდე)	51	გლდანის მასივი V მიკრო/რაიონი N191 სკოლის მიმდებარედ/მუხიანი IVბ მიკრო/რაიონი	01.00.828
61	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10	238		81.00.313
62	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ Nა696-დან AR ფ 4 (ანძა N20-დან AR ფ 4-მდე)	73	მნათობის ქუჩა N 73/ცაიშის ქუჩა	01.00.965
63	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ Nა1474-დან AN ფ 39-მდე	1576	ქერჩის შესახვევი N3/ქერჩის ქუჩა N2	01.00.966
64	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ № 739-დან ს/ქ N0387-მდე	237	ყაზბეგის გამზ. N12/ტოროშელიძის ქუჩა N6-ის მიმდებარედ	01.00.967
65	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ Nა696-დან AR ფ 4 (ა696-დან ანძა N1-მდე)	31	მნათობის ქუჩა N73/ ცაიშის ქუჩა	01.00.968
66	ელექტროგადამცემი ხაზი	6 კვ. საჰაერო ხაზი ს/ქ Nა696-დან AR ფ 4 (ანძა N1-დან ანძა N20-მდე)	1205	მნათობის ქუჩა N73/ ცაიშის ქუჩა	01.00.969
67	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ 5289 (ყოფ.ა121) -დან № 1354 - მდე	312	საქდრის შესახვევი N2-ის მიმდებარედ / ნავთლუღის ქუჩა, სამხედრო ჰოსპიტალი	01.00.970
68	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ ა394 -დან SBI ფ-38 - მდე	464	საბურთალოს ქუჩა N47/საბურთალოს ქუჩა N36	01.00.971
69	ელექტროგადამცემი ხაზი	6-10 კვ საკაბელო ხაზი ს/ქ N8060-დან OR ფ-30-მდე	1261	თევდორე მღვდლის III შესახვევი N7-ის მიმდებარედ („თბილისის" მიმდებარე ტერიტორია)	01.00.972

დანართი №2